ღია საზოგადოების ფონდი

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

მესამე ქვეყნების შესაძლებლობების გამოყენება საქართველოს ექსპორტის გაზრდისთვის

ღია საზოგადოების ფონდი

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

მესამე ქვეყნების შესაძლებლობების გამოყენება საქართველოს ექსპორტის გაზრდისთვის

თბილისი 2019

ავტორი: ნანა ცერცვაძე

ანგარიში მომზადებულია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის პროექტის "ასოცირების სამოქმედო გეგმის ეფექტიანობის შეფასება ექსპორტის დივერსიფიცირების მიმართულებით" ფარგლებში.

გამოცემულია ”ღია საზოგადოების ფონდის” ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

სარჩევი

შესავალი 4
1. ექსპორტის ძირითადი მაჩვენებლების მიმოხილვა 5
დიაგრამა 1. ექსპორტის მთლიანი მოცულობა და ცვლილება 5
დიაგრამა 2. საქართველოს მთავარი საექსპორტო პარტნიორები, 2014 6
დიაგრამა 3. ექსპორტის დინამიკა რუსეთში, უკრაინასა და თურქეთში 2014-2018 წლებში 7
დიაგრამა 4. ევროკავშირის, ჩინეთისა და ინდოეთის წილი საქართველოდან მთლიან ექსპორტში, 2011-2018 წლები 8
2. მთავარი სავაჭრო პროდუქტები ჩინეთთან და ინდოეთთან 9
დიაგრამა 5. ჩინეთიდან იმპორტის წილი მთლიან იმპორტში, 2014-2018 წლები 9
დიაგრამა 6. 2014-2018 წლებში ჩინეთიდან იმპორტირებული ტოპ 10 პროდუქტი 9
ინფოგრაფიკა 1. ჩინეთიდან ტოპ 10 პროდუქტის იმპორტის დინამიკა 2014-2018 წლებში 10
დიაგრამა 7. ტოპ 10 საექსპორტო პროდუქტი ჩინეთში 2014-2018 წლებში 11
დიაგრამა 8. ინდოეთიდან იმპორტირებული ტოპ 10 პროდუქტი 2014-2018 წლებში 12
დიაგრამა 9. ინდოეთში ექსპორტირებული ტოპ 10 პროდუქტი 2014-2018 წლებში 12
3. ინვესტიციების მიმოხილვა 13
დიაგრამა 10. 2011-2018 წლებში განხორციელებული ინვესტიციები 13
დიაგრამა 11. ევროკავშირის, ჩინეთისა და ინდოეთის წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 15
დიაგრამა 12. 2018 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეკომპოზიცია სექტორების მიხედვით 16
დიაგრამა 13. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში სექტორების მიხედვით, 2014-2018 წლები 16
დიაგრამა 14. 2014-2018 წლებში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები ევროკავშირიდან 17
დიაგრამა 15. ჩინეთიდან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები 2014-2018 წლები 17
დიაგრამა 16. ინდოეთიდან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები, 2014-2018 წლები 18
4. DCFTA-ის შესაძლო გავლენა საინვესტიციო უპირატესობებსა და იმპორტ-ექსპორტზე 19
5. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაძლო გავლენა ინვესტიციებზე და საერთაშორისო ვაჭრობაზე 19
6. ინდოეთთან თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივები 21
კვლევის მთავარი მიგნებები და ძირითადი ტრენდები 22
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 24

შესავალი

2014 წელს, ევროკავშირთან გაფორმებულმა ასოცირების ხელშეკრულებამ და მისმა შემადგენელმა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებამ (DCFTA) როგორც წინასახელშეკრულებო, ასევე შემდგომი პერიოდის განმავლობაში ქართული ეკონომიკური ანალიტიკური, პოლიტიკური თუ მედია სივრცის დამსახურებული ყურადღება და ოპტიმისტური მოლოდინები შექმნა.

რასაკვირველია, შეთანხმების თანმდევი სხვადასხვა ვალდებულების შესრულებისა და საკანონმდებლო ბაზისა თუ აღსრულების მექანიზმების ევროკავშირთან ჰარმონიზების შესაბამისი გეგმის გათვალისწინებით, ხელშეკრულების ხელშესახები და რაოდენობრივად და თანხობრივად ასახული შედეგების მიღწევას წლები სჭირდება. შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 3, 2 და მითუმეტეს 1 წლის თავზე არარეალისტური იქნებოდა ამ ხელშეკრულების რაიმე ხელშესახებ შედეგებზე საუბარი. თუმცა, შეთანხების გაფორმებიდან უკვე 5 წლის პერიოდში, შესაძლებლია გარკვეული დასკვნების გაკეთება არსებულ დინამიკაზე დაკვირვებით, პირდაპირი და არაპირდაპირი, თანმდევი ეფექტების ანალიზით.

გარდა DCFTA-ისა, ამავე პერიოდში, საქართველომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (EFTA) გააფორმა ისლანდიასთან, ლიხტენშტეინთან, ნორვეგიასა და შვეიცარიასთან, 2017 წლის მაისში - ჩინეთთან. ამჟამად კი მიმდინარეობს მოლაპარაკებები ინდოეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თაობაზე.

იმისათვის, რომ საქართველომ შეძლოს DCFTA-ის ფარგლებში მიღებული უპირატესობების გამოყენება მესამე ქვეყნებიდან ინვესტიციების მოსაზიდად, საჭიროა დეტალურად გაანალიზდეს სხვადასხვა მსხვილი თუ საშუალო, მწარმოებელი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან და საქართველოში მათი კონკრეტული წარმოებების უპირატესობები. მსგავსი კვლევა ჩატარდა ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდგომ პერიოდში, რათა გამოკვეთილიყო ევროკავშირში ექსპორტირებადი პროდუქციის ის ჯგუფი, რომლის წარმოების ჩინეთიდან საქართველოში გადმოტანის შემთხვევაში, სამივე მხარე მოგებული დარჩებოდა[1].

[1] USAID Governing for Growth (G4G) in Georgia policy paper: Opportunities from China-Georgia Free Tarde Agreement in the Context of DCFTA

1. ექსპორტის ძირითადი მაჩვენებლების მიმოხილვა

წინამდებარე თავში წარმოდგენილია ექსპორტის როგორც წინასახელშეკრულებო, ასევე მისი შემდგომი პერიოდის ექსპორტის მონაცემები რომლებმაც შესაძლებელი უნდა გახადოს მსჯელობა DCFTA-ის შესაძლო გავლენაზე.

დიაგრამა 1-ზე მოცემულია 2014-2018 წლების ექსპორტის დინამიკა მთლიანობაში, ევროკავშირის ქვეყნებში ჯამურად, და ასევე, ჩინეთსა და ინდოეთში.

საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის მთლიანი მოცულობა 2014-დან 2016 წლის ჩათვლით კლებადი ტრენდით ხასიათდებოდა. კერძოდ, ექსპორტის ცვლილება წინა წელთან შედარებით 2014 წელს -1.7%-ს შეადგენდა 2 861 მლნ აშშ დოლარის მოცულობით; 2015 წელს -22.9%-ს 2 204 მლნ აშშ დოლარის მოცულობით, ხოლო 2016 წელს ექსპორტი ბოლო ხუთი წლის მინიმალურ ნიშნულზე იყო 4.2%-იანი კლებით და 2 113 მლნ აშშ დოლარის მოცულობით. 2017-2018 წლებში საქართველოდან მთლიანმა ექსპორტმა ზრდა დაიწყო და 2017 წელს 2 735 მლნ აშშ დოლარის მაჩვენებელს მიაღწია 29.5%-იანი ზრდის მაჩვენებლით. 2018 წელს კი საქართველოს სტატისტიკის სამსახურის წინასწარი მონაცემებით, ექსპორტის მოცულობამ 3 355 მლნ აშშ დოლარი შეადგინა 22.6%-იანი ზრდის მაჩვენებლით. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მაჩვენებელი, მართალია, მცირედი, მაგრამ მაინც ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა 2014-2016 წლებში - 2014 წელს უმნიშვნელო, წლიური 2.8% ზრდით, 2105 წელს ასევე მცირე, 3.4%-იანი ზრდით და 2016 წელს 12.4%-იანი შემცირებით. თუმცა, 2017 წლიდან აქტიური ზრდის მაჩვენებელი ფიქსირდება 15.8%-ის ოდენობით, ხოლო 2018 წელს კი ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის ზრდამ 11.5% შეადგინა.

დიაგრამა 1. ექსპორტი, ცვლილება 2014-2018 წლებში
(მლნ აშშ დოლარი)



აქვეა მოცემული ექსპორტის ცვლილების დინამიკა ჩინეთთან, რომელიც 2018 წლამდე მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდებოდა და შესაბამისად, 2014 წელს 166.2% შეადგინა, 2015 წელს - 39.2%, 2016 წელს 38.6%, ხოლო 2017 წელს შედარებით შენელდა და 15.7% შეადგინა. 2018 წელს კი ეს მაჩვენებელმა კლება დაიწყო და წინა წელთან შედარებით 1.8%-ით შემცირდა.

ინდოეთის შემთხვევაც გარკვეულწილად განსხვავებულია ექსპორტის სრული სურათისაგან და მის ტრენდს არ იმეორებს. კერძოდ, 2014-2016 წლებში, ისევე, როგორც ჩინეთში ექსპორტი, აქაც ზრდის მაღალი, ორნიშნა ტემპით ხასიათდებოდა. შესაბამისად, 2014 წელს ინდოეთში ექსპორტი წინა წელთან შედარებით 69.1%-ით გაიზარდა, 2015 წელს 33.2%-ით, 2016 წელს კი 55%-ით. 2017 წლიდან სურათი დრამატულად შეიცვალა, ინდოეთში ექსპორტის კლება ორნიშნა მაჩვენებლით დაფიქსირდა და -59.6% შეადგინა. 2018 წელს ასევე შენარჩუნდა კლება -36.6%-იანი მაჩვენებლით.

ზემოთ აღწერილი მონაცემები ცხადყოფს, რომ ექსპორტის მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებთან, მეტნაკლებად სტაბილურობით გამოირჩევა და მნიშვნელოვან რყევებს არ განიცდის, განსხვავებით ექსპორტის მთლიანი მაჩვენებლისგან, რომელიც 2015-2017 წლებში მნიშვნელოვანი ვარდნით გამოირჩეოდა. აქვე, საკმაოდ რადიკალურ ცვლილებებს განიცდის ჩინეთთან და ინდოეთთან ესპორტის მაჩვენებელი.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ 2015-2016 წლებში ექსპორტის მკვეთრი შემცირება უკავშირდება რუსეთ-უკრაინას შორის დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას და რუსეთ-თურქეთს შორის ასევე დაძაბულ ურთიერთობას, რამაც თავისთავად იქონია გავლენა ამ ქვეყნების ეკონომიკაზე და შესაბამისად - საქართველოსთან მათ სავაჭრო ურთიერთობებზე. ამის მიზეზი კი ცხადია - უკრაინა, თურქეთი და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორებია. სამივე ქვეყნის წილი საქართველოს საექსპორტო ქვეყნებს შორის 2014 წელს ჯამურად 23% იყო (იხ. დიაგრამა 2). ამ გავლენის მეტი სიცხადით წარმოდგენისთვის დიაგრამა 3-ზე ნაჩვენებია რუსეთში, უკრაინასა და თურქეთში ექსპორტის დინამიკა 2014-2018 წლებში.

დიაგრამა 2. საქართველოს მთავარი საექსპორტო პარტნიორები, 2014



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 3. ექსპორტის დინამიკა რუსეთში, უკრაინასა და თურქეთში 2014-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
* - 2018 წლის წინასწარი მონაცემი.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამა 4-ში მოცემულია ევროკავშირში, ჩინეთსა და ინდოეთში 2011-2018 წლებში განხორციელებული ექსპორტის წილი საქართველოდან განხორციელებულ მთლიან ექსპორტში, თითოეული ქვეყნისთვის(ჯგუფისათვის) ინდივიდუალურად.

დიაგრამაზე ნათლად ჩანს, რომ ევროკავშირში განხორციელებული ექსპორტის წილი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ექსპორტის მთლიან მაჩვენებელში. ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამდე, კერძოდ, 2011, 2012 და 2013 წლებში, საქართველოდან ევროკავშირში განხორციელებული ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში შესაბამისად, 19.4%, 14.9% და 20.9% იყო. ხოლო ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სტაბილურად, 20%-ზე მეტს შეადგენს. თუმცა, აქაც მცირედი მერყეობით. კერძოდ, 2014 წელს ევროკავშირში განხორციელებული ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 21.8%-ს შეადგენდა (2.8%-იანი ზრდის პირობებში), 2015 წელს - 29.3%-ს (ზრდა 3.4%-იანი ზრდის პირობებში), 2016 წელს 26.8%-ს (12.4%-იანი კლების პირობებში), 2017 წელს 23.9%-ს (15.8%-იანი ზრდის პირობებში), ხოლო 2018 წელს კი 21.8% შეადგინა (11.5%-იანი ზრდის პირობებში).

რაც შეეხება ჩინეთს, მისი წილი შედარებით მცირეა საქართველოდან განხორციელებულ ექსპორტში, თუმცა აშკარაა, რომ 2011 წლიდან არის საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობასთან დაკავშირებით პოზიტიური მოლოდინი; შედეგად 2011-2018 წლების განმავლობაში ჩინეთში განხორციელებული ექსპორტის წილს მთლიანი ექსპორტის მოცულობაში ერთნიშნა მაჩვენებლისთვის არ გადაუჭარბებია. თუმცა, აქვე, აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლითაც კი, საქართველოს ტრადიციულ საექსპორტო ბაზრებს გაუტოლდა, მაგალითად, 2016 წელს, ოდესაც ჩინეთში განხორციელებული ექსპორტის წილმა (8.3%) თურქეთში (8.2%), სომხეთში (7.1%) და აზერბაიჯანში (7.2%) განხორციელებული ექსპორტის წილსაც გადააჭარბა[2].

2011 წელს ჩინეთში ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 1.3% იყო, 2012 წელს 1.1%, 2013 წელს 1.2%; 2014 წელს ჩინეთში განხორციელებული ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 3.2% იყო, 2015 წელს 5.7%, 2016 წელს 8.3%, 2017 წელს 7.4%, ხოლო 2018 წელს 5.8% შეადგინა.

[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი ერთნიშნაა, როგორც უკვე ვთქვით, ჩინეთმა ბოლო წლებში საექსპორტო 10-ეულში სტაბილურად მოიპოვა ადგილი და 2018 წელს ისეთ სტაბილურ საექპორტო ბაზარსაც კი გაუსწრო (190 მლნ აშშ დოლარი), როგორიცაა უკრაინა (156 მლნ აშშ დოლარი).

გაცილებით უმნიშვნელო წილი უჭირავს ინდოეთში განხორციელებულ ექსპორტს მთლიან ექსპორტში და 1%-იან ნიშნულს ზემოთ თითქმის არ ფიქსირდება. კერძოდ, 2011 წელს ინდოეთში განხორციელებული ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 0.9% იყო, 2012 წელს 0.6%, 2013 წელს სულ რაღაც 0.2%, 2014 წელს 0.4% იყო, 2015 წელს 0.6%, 2016 წელს 1.1%, 2017 წელს 0.3%, ხოლო 2018 წელს ისევ მინიმალური მოცულობა, 0.2% შეადგინა. შესაბამისად, ინდოეთში განხორციელებული ექსპორტის თუნდაც რადიკალური, ორნიშნა ცვლილებები გავლენას ვერ ახდენს ქართული ექსპორტის მთლიან მაჩვენებლებზე.

დიაგრამა 4. ევროკავშირის, ჩინეთისა და ინდოეთის წილი საქართველოდან მთლიან ექსპორტში, 2011-2018 წლები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
* - 2018 წლის წინასწარი მონაცემი

2. მთავარი სავაჭრო პროდუქტები ჩინეთთან და ინდოეთთან

მესამე ქვეყნებიდან, კერძოდ კი ჩინეთიდან და ინდოეთიდან საინვესტიციო პოტენციალის უკეთ შესაფასებლად, საინტერესოა გაანალიზებული იქნას ამ ორ ქვეყანასთან ვაჭრობა. კერძოდ კი ის ტოპ პროდუქტები, რომლებიც ამ ქვეყნების ვაჭრობაში ფიგურირებენ.

ჩინეთი საქართველოს სიდიდით მესამე საიმპორტო ქვეყანაა და საქსტატის 2018 წლის მონაცემებით მისი წილი მთლიან იმპორტში 9%-ია (იხ. დიაგრამა 5), ხოლო 2019 წლის 2 თვის მონაცემებით კი მეორე ადგილზეა 11.5%-იანი წილით.

დიაგრამა 5. ჩინეთიდან იმპორტის წილი მთლიან იმპორტში, 2014-2018 წლები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
* - 2018 წლის წინასწარი მონაცემი

დიაგრამა 6. 2014-2018 წლებში ჩინეთიდან იმპორტირებული ტოპ 10 პროდუქტი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ჩინეთიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქცია 1000-ზე მეტი დასახელებას მოიცავს. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში (2014-2018) ჩინეთიდან საქართველოში იმპორტირებული ტოპ 10 პროდუქტი ჯამში მთლიანი იმპორტის 21%-ს შეადგენს (იხ. დიაგრამა 6) და ესენია: გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები (5%), ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან მეტი (4%), რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები (3%), აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის (2%), მოწყობილობები ჰაერის კონდიცირებისათვის (2%), ნათურები და გამანათებელი მოწყობილობები (2%), ფეხსაცმელი რეზინის ან პოლიმერული მასალის ძირითა და ზედაპირით (2%), ძრავები და ტურბინები (1%), პოლიაცეტალები (1%-მდე) და სატელეფონო აპარატები (1%-მდე).

ინფოგრაფიკა 1-ზე ნაჩვენებია უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩინეთიდან ტოპ 10 პროდუქტის იმპორტის დინამიკა:

ინფოგრაფიკა 1. ჩინეთიდან ტოპ 10 პროდუქტის იმპორტის დინამიკა 2014-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება საქართველოდან ჩინეთში ექსპორტს, აქ პროდუქციის ნომენკლატურა ნაკლებად დივერსიფიცირებულია და ძირითადად რამდენიმე დასახელების პროდუქტში კონტენტრირდება. შესაბამისად, ტოპ 10 საექსპორტო პროდუქტის მოცულობამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩინეთში განხორციელებული ექსპორტის მთლიანი მოცულობის 99% შეადგინა, ხოლო ყველაზე ექსპორტირებადი პროდუქტი, სპილენძის მადნები და სპილენძის ჯართი მთლიანი ექსპორტის 84%-ს შეადგენს (იხ. დიაგრამა 7). მეორე ადგილზე ყურძნის ნატურალური ღვინოებია ექსპორტის 9%-იანი წილით, მესამე-მეოთხე ადგილზე კი მანგანუმის მადნები და კონცენტრატები (2%) და სამედიცინო ხელსაწყოები და მოწყობილობე-

ბია (2%). მსუბუქი ავტომობილებისა და ალუმინის ჯართის ექსპორტი მთლიანი ექსპორტის თითო პროცენტია, ხოლო ეთილის სპირტი/სპირტიანი სასმელები, სხეულის ხელოვნური ნაწილები და თხილი/კაკალი თითოეული 1%-მდეა. ყველა დანარჩენი ექსპორტირებული პროდუქტი ჯამურად, ჩინეთში 2014-2018 წლებში განხორციელებული მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 1%-ს შეადგენს.

დიაგრამა 7. ტოპ 10 საექსპორტო პროდუქტი ჩინეთში 2014-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მიუხედავად იმისა, რომ საექსპორტო ათეულში მეორე ადგილზეა ღვინის პროდუქცია, ჩინეთის ბაზრის გახსნამ ამ მიმართულებით საექსპორტო ქვეყნების ჯგუფში მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია და ჩინეთმა ღვინის ექსპორტში სამეულში მოიპოვა ადგილი;

ინდოეთიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქცია 2018 წლის მონაცემებით მთლიანი იმპორტის მხოლოდ 0.5%-ს შეადგენდა. ინდოეთიდან იმპორტი ჩინეთთან შედარებით ნაკლებად დივერსიფიცირებულია და ამ შემთხვევაში 2014-2018 წლებში იმპორტირებული ტოპ 10 პროდუქტი მთლიანი იმპორტის 51%-ს შეადგენს (იხ. დიაგრამა 8). ინდოეთიდან იმპორტირებული პროდუქტების სიის სათავეში მედიკამენტებია მთლიანი იმპორტის 24%-იანი წილით. მეორე ადგილზე მას მოსდევს შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციები 6%-იანი წილით, შემდეგ ჰიდრო ტურბინები და ალუმინის გვარლები თითოეული 4%-4% წილით და ხუთეულის ბოლოს ბრინჯი 3% წილით. მეორე ხუთეულს თანაბარი, 2%-2% წილებით ინაწილებენ ქაღალდი და მუყაო, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გაყინული ხორცი, ჰერბიციდები, პოლიაცეტალები (პლასტმასი) და თუჯის მილები.

დიაგრამა 8. ინდოეთიდან იმპორტირებული ტოპ 10 პროდუქტი 2014-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოდან ინდოეთში საექსპორტო ტოპ 10 პროდუქტი 2014-2018 წლებში მთლიანი ექსპორტის 96%-ს შეადგენს, ხოლო მთლიანი ექსპორტის 46% სხვადასხვა ლითონის ჯართია (იხ. დიაგრამა 9). ამ პერიოდის განმავლობაში აზოტოვანი სასუქები ყველაზე დიდი ოდენობით გავიდა ინდოეთში და ექსპორტის 48% შეადგინა. მას მოსდევს ალუმინის ჯართი 31%-იანი წილით, სპილენძის ჯართი (8%), თუთიის ჯართი (4%), შავი ლითონების ჯართი (2%), მატყლი (1%), ტყვიის ჯართი (1%), ტყვია (1%), ვულკანიზებული რეზინი (1%-მდე) და ელექტრონული სქემები (1%-მდე).

დიაგრამა 9. ინდოეთში ექსპორტირებული ტოპ 10 პროდუქტი 2014-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

3. ინვესტიციების მიმოხილვა

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ და სხვადასხვა თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შემოღებამ შესაბამისად გააჩინა მოლოდინები, რომ ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინება გაიზრდებოდა კონკრეტულად ამ სავაჭრო რეჟიმებით სარგებლობის მიზნებიდან გამომდინარე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამა 10-ზე წარმოდგენილია საქართველოში განხორციელებული ინვესტიციები 2011-დან 2018 წლის ჩათვლით და მათი ცვლილების დინამიკის მაჩვენებელი. 2012-2013 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მცირდებოდა, 2014 წელს 78%-იანი ზრდა იყო, ხოლო 2015-2016 წლებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც, ისევე როგორც ექსპორტის მაჩვენებლები ისევ კლებით ხასიათდება. უფრო კონკრეტულად, 2011 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 1 130 მლნ აშშ დოლარამდე იყო, 2012 წელს 1 023 მლნ აშშდოლარამდე, 9.5%-ით შემცირდა, 2013 წელს ისევ შემცირება განაგრძო 0,2%-ით და 1 020 მლნ აშშ დოლარამდე დავიდა. 2014 წელს ქვეყანაში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1 817 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 78.1%-ით მეტი იყო. 2015 წელს ინვესტიციების შემოდინება შემცირდა 8.4%-ით და 1 665 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2016 წელს პირდაპირი უცხური ინვესტიციების შემოდინება კვლავ შემცირებას განაგრძობდა, ამჯერად 6%-ით და 1 565 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2017 წელს ინვესტიციების ოდენობა გაიზარდა მნიშვნელოვნად, 21%-ით და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალ ნიშნულს, 1 894 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. 2018 წელს კი ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კვლავ მნიშვნელოვნად შემცირდა 34.9%-ით და ხუთი წლიანი პერიოდის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, 1 232 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 10. 2011-2018 წლებში განხორციელებული ინვესტიციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
* - 2018 წლის წინასწარი მონაცემი

ამ პერიოდის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების ტრენდი თითქმის იმეორებდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას. 2011 წელს ევროკავშირიდან შემოსული პირდაპირმა ინვესტიციებმა წინა წელთან შედარებით 110.8%-ით მეტი შეადგინა, 2012 წელს 7.2%-ით შემცირდა, 2013 წელს კი 7.9%-ით. 2014 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული პირდაპირი ინვესტიციები წინა წელთან შედარებით 99.1%-ით გაიზარდა, 2015 წელს 6.5%-ით შემცირდა, 2016 წელს 49%-ით განაგრძო კლება, 2017 წელს 91.5%-ით გაიზარდა, ხოლო 2018 წელს 25.7%-ით შემცირდა.

შესაბამისად, თუ 2014 წლის შემდგომ საინვესტიციო შემოდინებების დინამიკას გასული წლების დინამიკას შევადარებთ, სახეზეა ტენდენცია, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის პოზიტიური საინვესტიციო მოლოდინი და ინვესტიციების მაჩვენებლებიც პიკზე იმყოფებოდა. მას შემდეგ საინვესტიციო რყევების მიუხედავად, ინვესტიციების ჯამური მაჩვენებელი 2014 წლის მაჩვენებელზე ქვემოთ არ ჩამოსულა. მეორეს მხრივ, განსაკუთრებული გარღვევა, რასაც 2014 წლის მოლოდინი განაპირობებდა და მაჩვენებლებიც იმედს იძლეოდა, არ გაგრძელებულა.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ საინვესტიციო კლიმატს არ ქმნის მხოლოდ თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მოლოდინები. მათზე მრავალი სხვა ფაქტორი და გადაწყვეტილება აისახება, მაგალითად ისეთები, როგოროცაა მიწის პრივატიზების, სავიჟო რეჟიმების და სხვა თემები, რაც ცალკე განხილვისა და შესწავლის საგანი გახლავთ. რაც შეეხება კონკრეტულად ქვეყნების - ჩინეთისა და ინდოეთის ინვესტიციებს, მათი ჯამური მოცულობა საინვესტიციო პორტფელში საკმაოდ დაბალია.

ჩინეთიდან განხორციელებულ პირდაპირ ინვესტიციების მაჩვენებელი შედარებით მცირე წილით არის წარმოდგენილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში და, შესაბამისად, შედარებით ნაკლებ ზეგავლენას ახდენს მთლიან მაჩვენებელზე. 2011 წელს ჩინეთიდან განხორციელებული ინვესტიციების წილი 2.7%-ს არ აღემატებოდა, 2012 წელს 6.9% შეადგინა, ხოლო 2013 წელს 9.9%. 2014 წელს ჩინეთიდან განხორციელებული პირადაპირი ინვესტიციები 10%-იან ნიშნულს აცდა და მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 12.1%-ს შეადგინა, 2015 წელს - 4%- შეადგინა, 2016 წელს 1.6%, 2017 წელს 2.1%, ხოლო 2018 წელს 5.3%. (დიაგრამა 11)

ინდოეთიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესატიციების წილი საქართველოში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში მიზერულია და ძირითადად მაქსიმუმ 0.01%-ს აღწევს (დიაგრამა 11). შესაბამისად, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე ინდოეთიდან შემოსული ინვესტიციების გავლენის შესახებ რაიმე მსჯელობა ამ ეტაპზე ნაადრევია.

ამასთან, თუ ჩინეთის შემთხვევაში ზრდა უფრო თვალშისაცემია, ინდოეთის ინვესტიციები მკვეთრი ნახტომისებური ტენდენციით ხასიათდება:

ჩინეთის შემთხვევაში ინვესტიციების ზრდის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2011 წელზე მოდის და შემდგომ წლებში გრძელდება 2015 წლამდე, შემდეგ კი ვარდნას იწყებს. : 2011 წელს ჩინეთიდან შემოსული ინვესტიციების ზრდა 2010 წელთან შედარებით მკვეთრად, 485.5%-ით გაიზარდა, 2012 წელს ისევ ზრდა განაგრძო 130.9%-ით, ხოლო 2013 წელს 44.1%-ით. 2014 წელს ჩინეთიდან მიღებული პირდაპირი ინვესტიციები 2013 წელთან შედარებით 117.6%-ით, ისევ გაიზარდა, 2015 წელს კი ინვესტიციები ჩინეთიდანაც მცირდებოდა, 69.6%-ით, 2016 წელსაც ასევე შემცირდა 62%-ით, 2017 წელს გაიზარდა 58.5%-ით, ხოლო 2018 წელს, საერთო ტრენდისაგან განსხვავებით, ჩინეთიდან მიღებული პირდაპირი ინვესტიციები ზრდას განაგრძობდა 62.1%-ით. შესაბამისად, არ შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებამ განსაკუთრებით პოზიტიურად იმოქმედა ჩინური ინვესტიციის ზრდაზე საქართველოში.

რაც შეეხება ინდოეთიდან განხორციელებულ პირდაპირ ინვესტიციებს, აქაც დინამიკა შედარებით კიდევ უფრო მკვეთრი ცვლილებებით ხასიათდება. კერძოდ: 2011 წელს 2010 წელთან შედარებით, ინდოეთიდან შემოსული ინვეტიციები 3.7%-ით შემცირდა, 2012 წელს განაგრძო შემცირება 68.3%-ით, ხოლო 2013 წელს 344.2%-ით. 2014 წელს ინდოეთიდან შემოსულმა ინვესტიციებმა ზრდა დაიწყო 102%-ით და 2015 წელს ისევ ზრდა შენარჩუნდა 114.5%-ის ოდენობით. თუმცა, 2016 წელს რადიკალურად შემცირდა 229.6%-ით, 2017 წელს

ნახტომისებურად გაიზარდა 1441.6%-იანი მაჩვენებლით, ხოლო 2018 წელს ისევ შემცირდა 26.3%-ით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამა 11-ზე წარმოდგენილია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში ევროკავშირის, ჩინეთისა და ინდოეთის წილი. ისევე, როგორც ექსპორტის შემთხვევაში, აქაც, ევროკავშირიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული ინვესტიციების მინიმუმ მეოთხედს შეადგენს. კერძოდ: 2011 წელს ევროკავშირიდან განხორციელებული ინვესტიციები მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 43.6%-ს შეადგენდა, 2012 წელს 44.7%-ს, 2013 წელს კი 41.3%-ს; 2014 წელს ევროკავშირიდან განხორციელებული ინვესტიციები მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 46.1%-ს შეადგენდა, 2015 წელს 47.1%-ს, 2016 წელს 25.6%-ს, 2017 წელს 40.5%-ს, ხოლო 2018 წელს 46.2%-ს.

დიაგრამა 11. ევროკავშირის, ჩინეთისა და ინდოეთის წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
* - 2018 წლის წინასწარი მონაცემი

2018 წელს უცხოელი ინვესტორებისათვის საინტერესო დარგებიდან აღსანიშნავია საფინანსო სექტორი, რომელზეც გასული წლის განმავლობაში განხორციელებული ინვესტიციების 22% მოდიოდა (დიაგრამა 12). ასევე, აღსანიშნავია მშენებლობისა და უძრავი ქონების სექტორი 16%-იანი წილით. მას მოსდევს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები, სრული მოცულობის 14%-ის ოდენობითა და ასევე ენერგეტიკა - 13%-იანი წილით. განხორციელებული ინვესტიციების ოდენობით მეხუთე ადგილზე კი დამამუშავებელი მრეწველობაა, მთლიანი მოცულობის 12%-იანი წილით. ყველა სხვა დანარჩენ სექტორში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა კი ჯამში 23%-ს შეადგენს, მათ შორის 6%-იანი წილით - სასტუმროები და რესტორნები

.

დიაგრამა 12. 2018 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეკომპოზიცია სექტორების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დიაგრამა 13. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში სექტორების მიხედვით, 2014-2018 წლები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
* -2018 წლის წინასწარი მონაცემი

2014-2018 წლებში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების დეკომპოზიცია დინამიკაში, სექტორების მიხედვით ევროკავშირიდან მეტნაკლებად იმეორებს მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სურათს და ყველა სექტორშია წარმოდგენილი (იხ. დიაგრამა 13 და დიაგრამა 14).

დიაგრამა 14. 2014-2018 წლებში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები ევროკავშირიდან



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
* -2018 წლის წინასწარი მონაცემი

რაც შეეხება ჩინეთიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების დეკომპოზიციას დინამიკაში, აქ სურათი განსხვავებულია. ჩინელი ინვესტორებისათვის საქართველოში ყველაზე საინტერესო საინვესტიციო სექტორები მშენებლობა და უძრავი ქონება, საფინანსო სექტორი და დამამუშავებელი მრეწველობაა (იხ. დიაგრამა 15). ამასთან, აღსანიშნავია, რომ საფინანსო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 2016 წლიდან მკვეთრად გაიზარდა.

დიაგრამა 15. ჩინეთიდან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები 2014-2018 წლები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
* -2018 წლის წინასწარი მონაცემი

ინდოეთიდან განხორციელებულ პირდაპირ ინვესტიციებში 2014-2017 წლებში დამამუშავე-

ბელი მრეწველობა ლიდერობდა. თუმცა ინდოელი ინვესტორებისთვის უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მშენებლობა და უძრავი ქონება განსაკუთრებით აქტუალური გახდა და ასევე ინტერესის ქვეშ მოექცა სასტუმროებისა და რესტორნების სექტორი (იხ. დიაგრამა 16).

დიაგრამა 16. ინდოეთიდან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები, 2014-2018 წლები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
* -2018 წლის წინასწარი მონაცემი

4. DCFTA-ის შესაძლო გავლენა საინვესტიციო უპირატესობებსა და იმპორტ-ექსპორტზე

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 2014 წელს, ევროკავშირთან გაფორმებულმა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებამ (DCFTA) ოპტიმისტური მოლოდინები შექმნა. ამასთან, აღსანიშნავია რომ ქართული მხარე თანმიმდევრულად ასრულებს შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და მეტნაკლებად მიყვება სამოქმედო გეგმებით გაწერილ გრაფიკს.

მიუხედავად ქართული, ევროპული და საერთაშორისო საზოგადოების მიერ გაწეული ძალისხმევისა, ზემოთ აღწერილი საექსპორტო და საინვესტიციო სტატისიკის მიხედვით, ამ შთანხმების რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ქართულ ეკონომიკაზე ამ ეტაპზე არ გამოკვეთილა. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ყველა ის ცვლილება, რაც ხორციელდება DCFTA-ით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, უფრო გრძელვადიან, სამომავლო შედეგებზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ამ ეტაპზე, მიუხედავად სხვადასხვა პროდუქტზე უკვე არსებული საექსპორტო შეღავათებისა, დაწესებული კვოტების ათვისებაც ვერ ხერხდება გასაგები მიზეზების გამო.

5. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაძლო გავლენა ინვესტიციებზე და საერთაშორისო ვაჭრობაზე

2017 წლის 13 მაისს გაფორმდა საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველო ამ დროისათვის ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, რომელსაც ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვს.

ამ ეტაპზე, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების რამე კონკრეტულ ეკონომიკურ ზეგავლენაზე საუბარი ნაადრევია, რაც ზემოთ მოცემული საინვესტიციო და საექსპორტო სტატისტიკითაც დასტურდება, თუმცა, მოლოდინები ამ შეთანხმების შესახებ საკმაოდ ოპტიმისტურია.

შეთანხმების მიზანი საექსპორტო პოტენციალის გამოყენების გარდა საქართველოს, როგორც ეფექტური სავაჭრო პლატფორმის ფორმირებაა. ჩინეთთან გაფორმებული ხელშეკრულება ე.წ. „ახალი აბრეშუმის გზის“ ჯაჭვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად მოიაზრება[3]. შესაბამისად, ევროკავშირთან არსებული თავისუფალი სივრცის შესახებ შეთანხმება და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ერთგვარ ხიდს ქმნის, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი ხდება ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში და ექსპორტის ზრდა ორივე მიმართულებით.

უშუალოდ ჩინეთში ექსპორტის თვალსაზრისით, ყველაზე მეტად, ექსპერტების შეფასებით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია, განსაკუთრებით კი ღვინო იქნება წამატებული. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შეთანხმებით ჩინეთში ექსპორტირებული ქართული ღვინო 40%-იანი საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლდა, რაც თავისთავად დიდ შესაძლებლობებს

[3] საქართველო-ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობა, ირაკლი დანელია, 01 სექტემბერი, 2017, ფორბს ჯორჯია. http://forbes.ge/news/2712/Tavisufali-vaWroba

და შესაბამის მოლოდინებს ქმნის[4].

თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ის, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება საშუალებას აძლევს ჩინურ კომპანიებს საკუთარი წარმოება სრულად, ან ნაწილობრივ გადმოიტანონ საქართველოში და აქედან მოახდინონ ევროკავშირის ბაზარზე უკვე DCFTA-ით გათვალისწინებული პირობებით ექსპორტი. უდავოდა, რომ საქართველო-ევროკავშირსა და საქართველო-ჩინეთს შორის დადებული ხელშეკრულებები საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ღირებულების მომტანია. აღნიშნული შეთანხმებების არსებობა შესაძლებლობას იძლევა, საქართველო გახდეს პლატფორმა, სადაც სამივე მხარე მოგებული დარჩება: ჩინელი ინვესტორები, რომლებიც შეძლებენ საქართველოში წარმოებული პროდუქციის ნაკლები ან ნულოვანი ტარიფით შეტანას ევროკავშირის ბაზარზე, ევროკავშირის ქვეყნები, სადაც პროდუქცია, ნულოვანი ტარიფის გათვალისწინებით, შედარებით დაბალ საბაზრო ფასად გაიყიდება და რა თქმა უნდა, საქართველო, სადაც შემოვა უცხოური (ამ შემთხვევაში კი ჩინური) ინვესტიცია, დასაქმდება ადგილობრივი მუშახელი და გაიზრდება ბრუნვა ეკონომიკაში.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთი და ევროკავშირი მსოფლიოს ორი უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანა და ერთმანეთის უდიდესი სავაჭრო პარტნიორია. ამასთან, 2015 წელს, მას შემდეგ რაც მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციაში ჩინეთი, საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების სიაში შევიდა, ევროკავშირმა მას GSP მოუხსნა. ეს მოცემულობა კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის საქართველოს ჩინური ინვესტიციებისთვის.[5]

იმისათვის, რომ კონკრეტული საინვესტიციო სფეროები განისაზღვროს, საჭიროა დეტალიზებული, ჩაღრმავებული კვლევების განხორციელება, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც ევროკავშირში საექსპორტო პოტენციალი, ასევე ჩვენი ქვეყნის პოტენციალი (ბუნებრივი რესურსები და ხელმისაწვდომი ნედლეული, შრომის ბაზარი და საკადრო რესურსების მზაობა, წარმოების პოტენციური დანახარჯები და დამატებული ღირებულება და ა.შ.). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მნიშვნელოვანი ღირებულების შექმნისათვის და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის ქართული ეკონომიკა თანდათან გარდაიქმნას ცოდნასა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ეკონომიკად. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და ევროკავშირში ექსპორტისათვის მოზიდული ჩინური ინვესტიციები ამ მიმართულებით განვითარების კარგ შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოში განხორციელებული ჩინური ინვესტიციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ჰუალინგ ჯგუფის“ პროექტები, რომელიც 2007 წლიდან შემოვიდა ქართულ ბაზარზე და ამ პერიოდის განმავლობაში 8 მსხვილი საინვესტიციო პროექტი განახორციელა ჯამში 500 მლნ აშშ დოლარის მოცულობით[6]. გარდა ამისა, „ჰუალინგ ჯგუფი“ ბაზისბანკის აქციების 92.3%-ის მფლობელია[7]. აღსანიშნავია, რომ ჯგუფი აქტიურად ვითარდება და ჩართულია ჩინეთ-საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერებაში.

სხვადასხვა დროს, საქართველოში ინვესტირებით სხვადასხვა მსხვილი ჩინური ჯგუფი ინტერესებოდა. მაგალითად, 2014 წლის აგვისტოში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის თაობაზე, პირველ ეტაპზე შერჩეული 7 პრეტენდენტიდან, ერთ-ერთი მსხვილი ჩინური კომპანია CHINA HARBOUR ENGINEERING COMPANY LTD იყო, ხოლო მეორე - ქართულ-ჩინური კონსორციუმის წევრი, ასევე ჩინური POWER CHINA – HUBEI HONGYUAN POWER ENGINEERING CO., LTD. კომისიის მიერ მეორე ეტაპზე შერჩეული ორი მსხვილი კონსორციუმიდან სწორედ ერთ-ერთი იყო ANAKLIA PORT AND INDUSTRIAL ECO PARK, რომელშიც სხვა კომპანიებთან ერთად POWER CHINA – HUBEI HONGYUAN POWER ENGINEERING CO., LTD ერთიანდებოდა. საბოლოოდ, აღნიშნული ტენდერი JSC Anaklia Development Consortium-მა მოიგო[8]. ჩინური მხარის ინტერესი ანაკლიის მიმართ ამით არ დასრულებულა და 2018 წელს

[4] საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობები, ვახტანგ ჭარაია, 2017. https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/94-expert-opinion-geo.pdf

[5] Opportunities from China-Georgia Free Tarde Agreement in the Context of DCFTA

[6] კომპანიის ვებგვერდი http://hualing.ge/language/ka/

[7] ბანკის ვებგვერდი http://www.basisbank.ge/ge/about_bank/history/bb_history/

[8] „ვინ მიიღებს ანაკლიის პორტის მშენებლობის ნებართვას?“, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2015. https://www.transparency.ge/ge/content/stub-581

უკვე სხვა ჩინურმა კომპანიამ, China Railway International Group-მა გამოთქვა ანაკლიის პორტის პროექტში ინვესტირების სურვილი[9].

ჩინური კომპანიების ინტერესი საქართველოში ინვესტირების შესახებ ჩინეთისთვის საქართველოს, განსაკუთრებით კი ანაკლიის პორტის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ანაკლიის პორტში ინვესტირებით ჩინური მხარე მნიშვნელოვან უპირატესობას მოიპოვებს ე.წ. „ერთი სარტყელი - ერთი გზა“, ანუ იგივე „ახალი აბრეშუმის გზის“ ინიციატივის ფარგლებში.

6. ინდოეთთან თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივები

2017 წლიდან აქტუალური გახდა საქართველოსა და ინდოეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების პერსპექტივა. ჩატარდა მიზანშეწონილობის კვლევა და უკვე 2019 წლის დასაწყისიდან დაიწყო მოლაპარაკებები შეთანხმების გაფორმების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი 1.3 მილიარდ აშშ დოლარის საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს, ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა ცხადყოფს, რომ საქართველოს ექსპორტში მას ძალიან მცირე ნაწილი უჭირავს. შესაბამისად, მომავალი სავაჭრო შეთანხმება ექსპორტის მნიშვნელოვან პერსპექტივებს ქმნის ქართველი მწარმოებლებისთვის და ასევე, საინტერესო საინვესტიციო შესაძლებლობებს - პოტენციური ინვესტორებისთვის.

ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული მიზანშეწონილობის კვლევის თანახმად, ინდოეთიდან საქართველოში ექსპორტის პოტენციალი 847 მლნ აშშ დოლარიდან 976 მლნ აშშ დოლარამდე მერყეობს, ხოლო საქართველოდან ინდოეთში ექსპორტის პოტენციალი კი 520 მლნ აშშ დოლარიდან 618 მლნ აშშ დოლარამდე. ამავე კვლევის თანახმად, საქართველოდან ინდოეთში ექსპორტის მაღალი პოტენციალის მქონე პროდუქტებს შორისაა მადნები, წიდა და ნაცარი, მინერალური საწვავი, ფარმაცევტული პროდუქტები, რკინა და ფოლადი, ღვინო, ალკოჰოლური და სხვა სასმელები, გადამუშავებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ამასთან, კვლევაში აღნიშნულია, რომ ბიზნესისა და პროფესიული მომსახურებები, სატელეკომუნიკაციო მომსახურებები, ტურიზმი, კვლევა და განვითარება, კომპიუტერული და დაკავშირებული სერვისები, აუდიო-ვიზუალური და გარემოსთან დაკავშირებული მომსახურებები ასევე მნიშვნელოვანი ორმხრივი პოტენციალის მატარებელია.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება მიმზიდველ საინტესტიციო პირობებს ქმნის ერთობლივი ინდურ-ქართული ინვესტიციებისათვის როგორც ინდური, ასევე ქართული მხარისათვის. აქვე განსაზღვრულია მნიშვნელოვანი საინტერესო საინვესტიციო სექტორები საქართველოში: სოფლის მეურნეობა, ფარმაცია, ფოლდის წარმოება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ტურიზმი, სასტუმროები და რესტორნები, განათლება, ჯანდაცვა, აუდიო-ვიზუალური სერვისები, ენერგეტიკა და გარემო.

[9] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდი http://www.economy.ge/index.php?page=news&nw=551&s=anakliis-portshi-investirebit-chinetis-erterti-umsxvilesi-kompania-dainteresda

კვლევის მთავარი მიგნებები და ძირითადი ტრენდები

იმის გათვალისწინებით, რომ DCFTA-ით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება წლებს მოითხოვს, შეუძლებელია ეკონომიკური ეფექტების 3 ან 5 წელიწადში მიღწევა. როგორც წესი, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები სრული იმპლემენტაციისთვის 10-დან 25 წლამდე პერიოდს მოითხოვს და სწორედ ამ პერიოდის შემდგომ აისახება სრულად განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.

პოზიტიურმა მოლოდინმა, DCFTA-ის ხელმოწერის წინა და მომდევნო წლებში გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ჩინეთთან ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ინტენსივობის გაზრდაზე. პირველ რიგში აღსანიშნავია ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება (2017 წელი); შეთანხმება მნიშვნელოვან საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალს ქმნის საქართველოსთვის, ჩინური ინვესტიციებით საქართველოში წარმოებული პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტის თვალსაზრისით. ამასთან, ჩინური მხარის ინტერესი საქართველოს მიმართ მნიშვნელოვნად იზრდება. განსაკუთრებით ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მიმართ, რომელიც ჩინეთისათვის „ერთი გზა - ერთი სარტყელი“ ინიციატივის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი უნდა გახდეს.

გასული 5 წლის ანალიზმა აჩვენა, რომ ექსპორტის ცვლილების დინამიკა ჩინეთთან 2018 წლამდე მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდებოდა (მაგალითად 2014 წელს 166.2% შეადგინა). მომდევნო წლებში ზრდის დინამიკა იკლებს, თუმცა ამ წლებში ჩინეთის წილი საქართველოს ექსპორტში 2011 წელს 1.3% -დან 2016 წელს მაქსიმუმამდე გაიზარდა (8.3%), ხოლო 2018 წელს 5.8% შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტის მაჩვენებელი ერთნიშნაა, 2018 წელს ჩინეთმა ისეთ სტაბილურ საექსპორტო ბაზარს გაუსწრო (190 მლნ აშშ დოლარი), როგორიცაა უკრაინა (156 მლნ აშშ დოლარი).

მნიშვნელოვანია, რომ ღვინის, ანუ სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი პროდუქციის ექსპორტში ამ წლებში ჩინეთის წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ჩინეთი ღვინის საექსპორტო ქვეყნების 5-ეულში შევიდა; ამასთან, ნატურალური ღვინის ექსპორტი სულ 9%-ია საქართველოს ექსპორტის ჯამური მოცულობისა ჩინეთში;

ინდოეთთან ექსპორტი, შეიძლება ითქვას, რომ მინიმალურია და ბოლო წლების განმავლობაში ჯამურად ექსპორტის 1%-იან წილს არ აღემატება, რაც საქართველო-ინდოეთის ეკონომიკური კავშირების არაინტენსივობაზე მიუთითებს.

როგორც ჩინეთში, ისე ინდოეთში ექსპორტის სტრუქტურის ანალიზი გვაჩვენებს, რომ საქართველოს საკმაოდ შეზღუდული აქვს საექსპორტო პროდუქციის ნუსხა. ღვინის გარდა (9%), რომელიც ტრადიციული საექსპორტო პროდუქცია, ექსპორტში ვხვდებით სპირტს, სამედიცინო ხელსაწყოებს და მოწყობლობებს, ორთოპედიულ მოწობილობებს, მცირე რაოდენობით თხილს, რომლებიც ჯამურად მაგალითად ჩინეთის შემთხვევაში 3%-ს არ აღემატება, დანარჩენი ექსპორტი კი წიაღისეულზე, ჯართსა და ალუმინზე მოდის. ინდოეთის შემთხვევაში ექსპორტის 48%-ს აზოტოვანი სასუქები შეადგენს, თუმცა თავად ექსპორტის დაბალი წილის გამო თანხობრივ გამოხატულებაში ეს მაჩვენებელი მიზერულია.

ინდოეთთან დაწყებული მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მნიშვნელოვან მოლოდინებს ქმნის როგორც ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობების თვალსაზრისით, ასევე ინდოეთიდან ინვესტიციების განხორციელებისთვისაც. ამასთან, მნიშვნელოვანია ინდური კომპანიების ცოდნა და გამოცდილება კონკრეტულ დარგებში, მათ შორის საქართველოში უკვე განხორციელებული ინვესტიციების ჭრილში.

ინვესტიციების თვალსაზრისითაც ჩინეთის წილი ინვესტიციებში მცირე, თუმცა გაცილებით საგრძნობია, ვიდრე ინდოეთის შემთხვევაში. ამასთან, ჩინური ინვესტიციის ზრდის მაჩვენებელი 2014 წლამდე ზრდით გამოირჩეოდა: 2011 წელს ჩინეთის წილი 2.7%-ს არ აღემატებოდა, 2014 წელს კი ჩინეთიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები 10%-იან ნიშ-

ნულს აცდა და მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 12.1% შეადგინა. ამის შემდეგ ინვესტიციები კლებას იწყებს და მიუხედავად ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერისა, დადებითი ტენდენციით არ ხასიათდება. (2015 წელს - 4%, 2016 წელს 1.6%, 2017 წელს 2.1%, 2018 წელს 5.3%).

ინდოეთიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების წილი საქართველოში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში მიზერულია და ძირითადად მაქსიმუმ 0.01%-ს აღწევს, შესაბამისად მისი ნახტომისებური განვითარების მიუხედავად, ამ ტენდენციების ანალიზი ამ ეტაპზე აზრს მოკლებულია.

სხვადასხვა მიმართულებით გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები მსხვილ საერთაშორისო მოთამაშეებთან საქართველოსთვის მნიშვნელოვან საერთაშორისო ვაჭრობის პლატფორმად ქცევის ხელსაყრელი შესაძლებლობაა. რაც, თავის მხრივ მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალს. თუმცა, ფაქტია, რომ ამ მიმართულებით პოტენციალი დღევანდელ ეტაპზე ათვისებული არ არის და პოზიტიური მოლოდინებისა და ძვრების მიუხედავად, კონკრეტულად ჩინეთთან და ინდოეთთან პოზიტიური ეკონომიკური ურთიერთობის ზრდის მაჩვენებლის შენარჩუნება სტაბილურად ვერ ხერხდება.

სტაბილური ზრდის მისაღწევად და არსებული შესაძლებლობების უკეთ გამოსაყენებლად ხელისუფლებამ, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების დადების პარალელურად, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გააკეთოს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდაზე. ამასთან, მიზანმიმართულად უნდა იმუშაოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის, საინვესტიციო ტენდერების მეტი გამჭვირვალობისა და ინვესტორების მოძიება-მოზიდვისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ბოლო წლების ტენდენციების ანალიზმაც აჩვენა, წარმატებები და ზრდა ვერ იქნება დროში მდგრადი.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: Geostat.ge
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: economy.ge
3. USAID Governing For Growth (G4G) in Georgia policy paper: Opportunities from China-Georgia Free Tarde Agreement in the Context of DCFTA
4. Joint Feasibility Study on Free Trade Agreement between India and Georgia
5. Stevens, C., Irfan, I., Massa, I. and Kennan, J. (2015) The Impact of Free Trade Agreements between Developed and Developing Countries on Economic Development in Developing Countries: A Rapid Evidence Assessment. London: Overseas Development Institute.
6. საქართველო-ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობა, ირაკლი დანელია, 01 სექტემბერი, 2017, ფორბს ჯორჯია. http://forbes.ge/news/2712/Tavisufali-vaWroba
7. საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობები, ვახტანგ ჭარაია, 2017. https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/94-expert-opinion-geo.pdf
8. კომპანია „ჰუალინგ ჯგუფის“ ვებგვერდი http://hualing.ge/language/ka/
9. „ბაზისბანკის“ ვებგვერდი http://www.basisbank.ge/ge/about_bank/history/bb_history/
10. „ვინ მიიღებს ანაკლიის პორტის მშენებლობის ნებართვას?“, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2015. https://www.transparency.ge/ge/content/stub-581
11. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდი http://www.economy.ge/index.php?page=news&nw=551&s=anakliis-portshi-investirebit-chinetis-erterti-umsxvilesi-kompania-dainteresda

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)
ფალიაშვილის ქ. 85. მეოთხე სართული. 0162. თბილისი. საქართველო.
(995 32) 2 207 305
info@eprc.ge
@EPRC_Georgia
Economic Policy Research Center
www.eprc.ge